სტუდენტური თვითმმართველობის დებულებაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით შექმნილი კომისიის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. სტუდენტური თვითმმართველობის დებულებაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით შექმნილი კომისიის მიზანი

სტუდენტური თვითმმართველობის დებულებაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით შექმნილი კომისია (შემდგომში – კომისია) შექმნილია თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის 2012 წლის 20 ივნისს მიღებულ დებულებაში (შემდგომში - დებულება) ცვლილებების შესატანად.

მუხლი 2. კომისიის სტრუქტურა

1. კომისიის საქმიანობასა და სხდომას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე.
2. კომისიის თავმჯდომარესა და კომისიის წევრებს განსაზღვრავს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.

მუხლი 3. კომისიის ფუნქციები და ამოცანები

1. კომისიის ამოცანაა დებულებაში აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრა;
2. კომისიის მთავარი ფუნქციაა სამართლებრივად გამართული დებულების მიღება.

მუხლი 4. კომისიის უფლება-მოვალეობები

1. კომისია უფლებამოსილია:

ა) საქმიანობის უკეთ განხორციელებისთვის მიიღოს საჭირო ინფორმაცია სტუდენტური თვითმმართველობის სტრუქტურული ერთეულების მუშაობის შესახებ მათი ხელმძღვანელებისგან;

ბ) მოიწვიოს იურიდიული ფაკულტეტის პროფესორები ან ასისტენტ-პროფესორები საქმიანობის გამართულად შესრულებისთვის.

2. კომისია ვალდებულია მუშაობა შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

მუხლი 5. კომისიის მუშაობის ორგანიზება

1. კომისია საქმიანობას შეუდგება 2014 წლის დეკემბრიდან.

2. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ან მათ წარმომადგენელთა ნახევარზე მეტი.

3. კომისიის თავმჯდომარეს ნიშნავს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი, ხოლო თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს პირველ სხდომაზე ირჩევს კომისია.

4. სხდომას უძღვება კომისიის თავმჯდომარე, ხოლო თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

5. კომისიის სხდომების ორგანიზებასა და კომისიის თავმჯდომარის მიერ გაცემულ დავალებათა შესრულების კონტროლს უზრუნველყოფს კომისიის მდივანი.

6. კომისიის სხდომების დღის წესრიგს, კომისიის მდივნის წარდგინებით, ამტკიცებს კომისიის თავმჯდომარე.

7. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.

8. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

9. კომისია საოქმო გადაწყვეტილებით სამუშაო ჯგუფს ავალებს ცალკეული საკითხების შესწავლას და კომისიის სხდომაზე განსახილველ შესაბამის გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადებას.

9. კომისიის სხდომის ოქმს და კომისიის თავმჯდომარის შესაბამის დავალებებს აფორმებს და ხელმოსაწერად ამზადებს კომისიის მდივანი.

10. კომისია იკრიბება, როგორც წესი, თვეში 2-ჯერ, თავმჯდომარის ან კომისიის წევრთა ერთი მესამედის ინიციატივით. საჭიროების შემთხვევაში კომისიის რიგგარეშე სხდომა მოიწვევა თავმჯდომარის ან კომისიის წევრთა უმრავლესობის მოთხოვნის საფუძველზე.

მუხლი 6. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა

კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის აპარატი.

მუხლი 7. კომისიის საქმიანობის შეწყვეტა

კომისიის საქმიანობის შეწყვეტასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას დადგენილი წესით იღებს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.